გაეროში სიტყვით გამოსვლისას ჩერკასისა და კანევის მიტროპოლიტმა თეოდოსიმ უკრაინის ხელისუფლების მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის შესახებ ისაუბრა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 21.03.2024. 2024 წლის 20 მარტს ჩერკასისა და კანევის მიტროპოლიტი თეოდოსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სიტყვით გამოვიდა თათბირზე – „საერთო დებატები ადამიანის უფლებათა ვითარებაზე, რომლებიც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ყურადღებას მოითხოვს“, – **იუწყება** მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივი დაცვა“ – მიერ გავრცელებულ **ინფორმაციაზე** დაყრდნობით.

იერარქმა ისაუბრა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა წინააღმდეგ მიმართულ ფიზიკურ ძალადობაზე, ტაძრების ჩამორთმევაზე და ხელისუფლების პრეტენზიებზე, კერძოდ, იმ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, რომლებზეც ტაძრებია აგებული.

„როგორც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი, განვიცდი სისხლისსამართლებრივ დევნას უკრაინის ხელისუფლების მხრიდან იმის გამო, რომ ვეწინააღმდეგები მორწმუნეთა უფლებების დარღვევას, გამოვთქვამ საკუთარ რელიგიურ შეხედულებებს და თეოლოგიურ პოზიციას. სისხლის სამართლის საქმე ასევე აღიძრა ჩვენი დენომინაციის კიდევ რამდენიმე მიტროპოლიტზე, რომელთაგან ერთს, 75 წლის ასაკში 5 წლით თავისუფლების აღკვეთა **მიესაჯა** მხოლოდ იმის გამო, რომ თავის ქადაგებებში სიმართლეს ლაპარაკობდა“, – აღნიშნა მეუფე თეოდოსიმ.

მისი თქმით, გაეროს სპეციალურმა მომხსენებლებმა უკრაინაში სამი შეტყობინება **გაგზავნეს,** მაგრამ ყველა მათგანი სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

„უკრაინის ხელისუფლების უკანონობა უნდა შეჩერდეს. მოვუწოდებ საერთაშორისო თანამეგობრობას, უფრო ენერგიულად დაიცვას სამართლიანობა და ადამიანის უფლებები უკრაინაში“, – განაცხადა მღვდელთმთავარმა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91562/